ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №259

ქ. ბათუმი, 18 იანვარი 2018 წ

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. დადგენილების შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებულ და დანართში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. ამავე დადგენილების შესაბამისად კი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის მიზნით, „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

**1.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხათუნა აბულაძე.

**2.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიებები და უზრუნველყოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინ-

ფორმაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) განთავსება.

**3**. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის მატერიალური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის განყოფილების IT სპეციალისტმა უზრუნ-ველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ რესურსზე (www.batumi.ge) პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პრო-აქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა.

**4.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ფორმით მიაწო-დონ ამავე დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაცია და დოკუ-მენტაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს.

**5**. ბრძანება მისი საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე (მის: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) და მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

**6**. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 ოქტომბრის №844 ბრძანება.

**7.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**8.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი